

დანართი N 1

GEDF-ის მიერ მოთხოვნილი პარტნიორთა შეთანხმების ძირითადი პირობები:

1. განმარტებები:

“გამოსყიდვის ოფციის დასრულების თარიღი” ნიშნავს თარიღს არა უადრეს 10 (ათი) დღისა და არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა გამოსყიდვის რეალიზაციის შესახებ შეტყობინების თარიღიდან.

“გამოსყიდვის ოფციის პერიოდი” ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება პირველი ფაზის დასრულებისას („გამოსყიდვის ოფციის გახსნის თარიღი“) და მთავრდება გამოსყიდვის ოფციის გახსნის თარიღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

“მიყიდვის ოფციის პერიოდი” ნიშნავს პერიოდს, რომელიც იწყება პირველი ფაზის დასრულებისას („შესყიდვის ოფციის გახსნის თარიღი“) და მთავრდება მიყიდვის ოფციის გახსნის თარიღიდან 1 წლის გასვლის შემდეგ.

“მიყიდვის ოფციის დასრულების თარიღი” ნიშნავს თარიღს არა უადრეს 10 (ათი) დღისა და არა უგვიანეს 30 (ოცდაათი) დღისა მიყიდვის შესახებ შეტყობინების თარიღიდან.

"პროექტი" ნიშნავს ყველა იმ საქმიანობას, რომელიც დაკავშირებულია ქ. ზესტაფონის მიმდებარედ ქარის ელექტროსადგურის განვითარებასთან, ფინანსირებასთან, მშენებლობასთან და ოპერირებასთან. სიცხადისთვის, პროექტი სავარაუდოდ მოიცავს შემდეგ საქმიანობებს:

ა) პროექტის განვითარების საქმიანობები

- საპროექტო კვლევები - ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა და სამშენებლო დიზაინის ჩათვლით
- სოციალურ და ბუნებრივ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
- სხვა კვლევები - მიწის მფლობელობის, მისასვლელი გზების და გადაამცემი ხაზების კვლევა და სხვა კვლევები, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ნებართვის ასაღებად;
- პირველადი ფინანსური გათვლები, ფინანსური მიზანშეწონილობის კვლევა და სხვა პროექტის ფინანსირების სტრუქტურის ჩამოსაყალიბებლად საჭირო სამუშაოები.

ბ) შესყიდვები და მშენებლობა:

- საჭირო დანადგარების შესყიდვა;
- მშენებლობის ნებართვის აღება;
- მშენებლობა;

- ექსპლუატაციაში გაშვება;

ბ) პროექტის ოპერირება და ენერჯის გენერირება:

- ელექტროენერჯის გენერირება და ვაჭრობა;
- ოპერირება და მოვლა-პატრონობა;

2. პროექტი უნდა დაიყოს ორ ფაზად, როგორც ქვემოთაა განსაზღვრული:

“ფაზა 1” შედგება ყველა საქმიანობისგან, რომელიც ემსახურება პროექტის განვითარებას, როგორც ეს მოცემულია პროექტის განმარტების (ა) ქვეპუნქტში - პროექტის განვითარების საქმიანობები. პროექტის განვითარების საქმიანობების დასრულების შემდეგ, თუ ყველა მხარე დაეთანხმება პროექტის გაგრძელებას, ისინი უნდა გადავიდნენ ფაზა 2-ის განხორციელებაზე, როგორც ქვემოთაა მოცემული:

“ფაზა 2” შედგება ყველა საქმიანობისაგან, როგორც ეს მოცემულია პროექტის განმარტების (ბ) და (გ) ქვეპუნქტებში.

3. საერთო საწარმოს დაფუძნება და კაპიტალის შევსება

ინვესტორის გამოვლენის შემდეგ GEDF-ისა და პარტნიორის წილობრივი მონაწილობით განხორციელდება "საერთო საწარმოს (შემდგომში „საერთო საწარმო“) დაფუძნება. საერთო საწარმოს თავდაპირველი კაპიტალი უნდა განისაზღვროს 400 000 (ოთხასი ათასი) ლარით.

საერთო საწარმოს კაპიტალი გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ შეთანხმებული პროექტების ფაზა 1-ის ფინანსირებისა და განვითარებისთვის, როგორც საერთო საწარმოს საბჭოს მიერ იქნება განსაზღვრული. საერთო საწარმომ უნდა შეინახოს კაპიტალის ხარჯვის ყველა სააღრიცხვო დოკუმენტი.

საერთო საწარმოს კაპიტალის შევსების მიზნით, პარტნიორმა უნდა განახორციელოს 360 000 (სამას სამოცი ათასი) ლარის ოდენობის ფულადი ან არაფულადი შენატანი კომპანიის კაპიტალში, ხოლო GEDF-მა - 40 000 (ორმოცი ათასი) ლარის არაფულადი შენატანი (წინასწარი ტექნიკურ- ეკონომიკური კვლევა). პარტნიორის წილი კაპიტალში იქნება 90%, ხოლო GEDF-ის კი 10%. დაუშვებელია GEDF-ს მოეთხოვოს კაპიტალის დამატებითი შევსება.

საპარტნიორო შეთანხმების ხელმოწერიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში პარტნიორმა უნდა განახორციელოს მისი წილის პროპორციული შენატანის სულ მცირე ნახევრის შევსება ან აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით წარუდგინოს GEDF-ს შესაბამისი საბანკო გარანტია, რომელიც მოქმედი უნდა იყოს საპარტნიორო ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 წლის განმავლობაში. დარჩენილი შენატანის განხორციელება უნდა მოხდეს

საერთო საწარმოს საჭიროებების გათვალისწინებით. GEDF კაპიტალის შევსებას განახორციელებს 5 (ხუთი) დღის შემდეგ, მას შემდეგ რაც პარტნიორი განახორციელებს მისი წილის პროპორციული შენატანის სულ მცირე ნახევრის შეტანას.

ფაზა 1-ის დასრულებისას თითოეულმა პარტნიორმა დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს სურს თუ არა პროექტის ფაზა 2-ში მონაწილეობა. თუ ყველა პარტნიორი შეთანხმდება პროექტის გაგრძელებაზე, პროექტი რჩება საერთო საწარმოში და მხარეები თანხმდებიან დამატებითი შენატანის ოდენობისა და საერთო საწარმოში წილების შემდგომი გადანაწილების შესახებ.

პროექტის ფაზა 1-ის დასრულების შემდეგ, საერთო საწარმოს საბჭომ უნდა განიხილოს კვლევის შედეგები, ანალიზები, შესწავლები, ბიზნეს გეგმები, ფინანსური პროექტირებები და ნებისმიერი სხვა პროდუქტი, რომელიც შექმნილია ფაზა 1-ის ფარგლებში და უნდა წარუდგინოს პარტნიორებს პროექტის ფაზა 2-ის ბიზნეს გეგმა, რომელიც უნდა მოიცავდეს ფინანსირების საჭიროებებს, განრიგს, და სხვა ხელთ არსებულ ინფორმაციას. ყველა მხარე ვალდებულია შეატყობინოს საერთო საწარმოს საბჭოსა და სხვა მხარეებს მათი პროექტის ფაზა 2-ში მათი მონაწილეობის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით საბჭოს შეხვედრიდან 30 დღის განმავლობაში. იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული შეტყობინება არ იქნება მიღებული, ჩაითვლება რომ მხარე უარს აცხადებს ფაზა 2-ში მონაწილეობაზე.

თუ პარტნიორი მიიღებს გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიიღოს ფაზა 2-ში, ხოლო GEDF კი უარს იტყვის მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაში, პარტნიორის საკუთრებაში გადავა საერთო საწარმოში GEDF-ის კუთვნილი წილის 100%. აღნიშნულიდან 30 დღის გასვლის შემდეგ, პარტნიორმა უნდა აუნაზღაუროს GEDF-ს თანხა, რომელიც ტოლია პროექტის ფაზა 1-ის დროს მის მიერ გაკეთებული შენატანის ღირებულების. შესაბამისად კომპენსაციის მიმღები პარტნიორის წილი ერთობლივ საწარმოში შემცირდება მიღებული კომპენსაციის ოდენობით.

თუ GEDF მიიღებს გადაწყვეტილებას, მონაწილეობა მიიღოს ფაზა 2-ში, ხოლო პარტნიორი კი უარს იტყვის მონაწილეობაზე, ამ შემთხვევაში, GEDF -ის საკუთრებაში გადავა საერთო საწარმოს კაპიტალში პარტნიორის კუთვნილი წილის 100%. აღნიშნულიდან 50 დღის გასვლის შემდეგ GEDF-მა უნდა აუნაზღაუროს პარტნიორს თანხა, რომელიც ტოლია პროექტის ფაზა 1-ის დროს მის მიერ გაკეთებული შენატანის ღირებულების. შესაბამისად კომპენსაციის მიმღები პარტნიორის წილი ერთობლივ საწარმოში შემცირდება მიღებული კომპენსაციის ოდენობით.

თუ ყველა პარტნიორი უარს იტყვის პროექტის ფაზა 2-ში მონაწილეობაზე, შემდგომი ქმედებების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო საწარმოს საბჭო.

4. საერთო საწარმოს დირექტორთა საბჭო

საერთო საწარმო მართული უნდა იქნეს საწარმოს დირექტორთა საბჭოს მიერ.

საწარმოს დირექტორთა საბჭო შედგება 3 (სამი) წევრისგან. ერთ წევრს წარადგენს GEDF, ხოლო ორ წევრს კი პარტნიორი. გადაწყვეტილებას მათ დანიშვნასთან დაკავშირებით იღებს პარტნიორთა საერთო კრება.

ინვესტორის მიერ წარდგენილი დირექტორთა საბჭოს წევრებიდან ერთ-ერთი არჩეულ უნდა იქნეს საერთო საწარმოს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარედ („თავმჯდომარე“). იმ შემთხვევაში, როცა დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე ვერ ესწრება საბჭოს შეხვედრას, საბჭოს წევრები თანხმდებიან ამ კონკრეტულ შეხვედრაზე თავმჯდომარედ ერთ-ერთი საბჭოს წევრის არჩევაზე. თუ დირექტორთა საბჭოს წევრები ვერ შეთანხმდნენ, შეხვედრა ვერ შედგება.

დირექტორთა საბჭოს შეხვედრებზე საბჭოს თითოეულ წევრს (მათ შორის თავმჯდომარესაც) აქვს ერთი ხმის უფლება.

შეხვედრის კვორუმი განისაზღვრება საერთო საწარმოს დირექტორთა საბჭოს ორი წევრით. საბჭოს ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

დირექტორთა საბჭოს სხდომა ტარდება სულ მცირე ყოველ სამ თვეში.

5. პარტნიორთა საერთო კრება

პარტნიორთა საერთო კრება არის საზოგადოების უმაღლესი გადაწყვეტილების მიმღები ორგანო. საერთო კრებაზე ხმის უფლების რაოდენობა განისაზღვრება წილის მიხედვით.

პარტნიორთა საერთო კრება ტარდება წელიწადში ერთხელ საბჭოს მიერ წინასწარ განსაზღვრულ ადგილას.

პარტნიორთა საერთო კრება წარადგენს და ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს წევრებს. აცნობებს პარტნიორებს წინა წლის მნიშვნელოვან ფინანსურ და ბიზნეს აქტივობების და მომავალი გეგმების შესახებ; იღებს გადაწყვეტილებებს დივიდენდების განაწილებისა და აუდიტორის აყვანის შესახებ.

პარტნიორთა რიგგარეშე საერთო კრება შესაძლოა მოწვეულ იქნას დირექტორთა საბჭოს მიერ ან იმ პარტნიორის მიერ ვისი წილიც საერთო საწარმოს მთლიან კაპიტალში არის 10% ან მეტი.

კრება ითვლება ჩატარებულად თუ პარტნიორთა უბრალო უმრავლესობა (50%-ზე მეტი წილის მქონე) იქნება წარმოდგენილი პირადად ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:

- ა) ბიზნესის ძირითადი პოლიტიკის განსაზღვრა;
- ბ) წლიური ბიზნეს გეგმის დამტკიცება;
- გ) საერთო საწარმოს მენეჯმენტის ანაზღაურების განსაზღვრა;
- დ) საერთო საწარმოს წესდებაში ცვლილებების შეტანა;
- ე) დივიდენდის გაცემის გადაწყვეტილება;
- ვ) კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევები.

კრების დროს მიღებული გადაწყვეტილება უნდა აისახოს კრების ოქმში და ხელმოწერილ იქნას პარტნიორების ან მათი ოფიციალური წარმომადგენლების მიერ.

პარტნიორთა საერთო კრების ჩატარების ადგილი განისაზღვრება დირექტორთა საბჭოს მიერ. თუ ჩატარების ადგილი არის საქართველოს საზღვრებს გარეთ, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ერთხმად.

შემდეგი საკითხები უნდა იქნას მიღებული ერთხმად პარტნიორთა საერთო კრებაზე:

- (ა) წესდების დამტკიცება, ცვლილებებისა და დამატებების მიღება;
- (ბ) საერთო საწარმოს რეორგანიზაციის/ლიკვიდაციის შესახებ მისაღები ღონისძიებები ;
- (გ) პარტნიორისთვის განსაკუთრებული უფლებების მინიჭება ან გაუქმება;
- (დ) დივიდენდებისა და მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საკითხების მიღება ან უარყოფა;
- (ე) საერთო საწარმოს კაპიტალის გაზრდა/შემცირება;
- (ვ) სესხის აღების შესახებ გადაწყვეტილება;
- (ზ) საბჭოს წევრების ანაზღაურების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- (თ) დამტკიცებული ბიუჯეტის მიღმა ვალდებულებების აღება ან ფულადი სახსრების გაზრდა.

6. ინვესტორის გამოსყიდვის ოფცია

ფონდი ანიჭებს ინვესტორს გამოსყიდვის ოფციას, რომელიც გამოსყიდვის ოფციის მოქმედების პერიოდში მას საშუალებას აძლევს იყიდოს ფონდის წილი საერთო საწარმოში

(„გამოსყიდვის ოფციით მისაღები წილი“) პარტნიორის მიერ წერილობითი შეტყობინებისას („გამოსყიდვის მოთხოვნის შეტყობინება“). გამოსყიდვის ოფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას გამოსყიდვის მოთხოვნის შეტყობინების ფონდისთვის და საერთო საწარმოსთვის მიწოდების გზით ნებისმიერ დროს გამოსყიდვის ოპციის პერიოდის განმავლობაში.

გამოსყიდვის ოფციით მისაღები წილის ფასი („გამოსყიდვის ოფციის გამოყენების ფასი“) გამოითვლება საერთო საწარმოს კაპიტალში ფონდის მიერ განხორციელებულ შენატანზე (ფულადი ან არაფულადი) წლიური **XX** პროცენტის დამატებით გამოსყიდვის ოფციის დასრულების თარიღისთვის.

7. ფონდის მიყიდვის ოფცია

ინვესტორი ანიჭებს ფონდს მიყიდვის ოფციას, რომელიც მიყიდვის ოფციის მოქმედების პერიოდში მას საშუალებას აძლევს მიყიდოს საკუთარი წილი საერთო საწარმოში („მიყიდვის ოფციით გასაცემი წილი“) ინვესტორს წერილობითი შეტყობინების მეშვეობით („მიყიდვის მოთხოვნის შეტყობინება“). მიყიდვის ოფცია შესაძლოა გამოყენებულ იქნას მიყიდვის მოთხოვნის შეტყობინების ინვესტორისთვის და საერთო საწარმოსთვის მიწოდების გზით ნებისმიერ დროს მიყიდვის ოფციის პერიოდის განმავლობაში.

მიყიდვის ოფციით ინვესტორის მიერ მისაღები წილის ფასი („მიყიდვის ოფციის გამოყენების ფასი“) გამოითვლება ფონდის მიერ საერთო საწარმოს კაპიტალში განხორციელებულ შენატანზე (ფულადი ან არაფულადი) წლიური **YY** პროცენტის დამატებით მიყიდვის ოფციის დასრულების თარიღისთვის.

საერთო საწარმომ, ფონდმა და ინვესტორმა უნდა მიმართონ ყველა შესაძლო ნაბიჯებს, რომ დარწმუნდნენ, რომ გამოსყიდვის / მიყიდვის ოფციის დასრულების თარიღისთვის ყველა წილის გადაცემასთან დაკავშირებული ფორმალური საკითხები შესაბამისობაშია ყველა საჭირო ნებართვებთან და შესაბამისი ნებართვები მიღებულია.

8. სასამართლო დავა

იმ შემთხვევაში, როდესაც მხარეთა შორის წარმოქმნილი დავა ვერ გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით, დავა უნდა გადაწყდეს საბოლოოდ მხოლოდ საქართველოს სასამართლოს მიერ.

შეთანხმებები და მხარეთა უფლებები და ვალდებულებები მოქმედია და სრულ ძალაშია დავის პროცესის მიმდინარეობის მთელ პერიოდში.

თითოეული მხარე თანხმდება, რომ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

სასამართლო პროცესის ხარჯებს კისრულობენ მხარეები სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად.